საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №104

2014 წლის 24 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის), სამსახურებრივი პირადობის მოწმობისა და ლუქის ნიმუშების დამტკიცების შესახებ

„ტყის ფონდის მართვის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს:

ა) „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის) ნიმუში", დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის სამსახურებრივი პირადობის მოწმობის ნიმუში", დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის ლუქის ნიმუშები", დანართი №3-ის შესაბამისად;

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშომელთა ნუსხა, რომელთათვისაც სავალდებულოა თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის) ტარება განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი — **ხათუნა გოგალაძე**

დანართი №1

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის) ნიმუში

1. მამაკაცის სპეციალური ტანსაცმლის ნიმუში:

ა) კეპი – წინაფრიანი, გვერდებზე ორი საჰაერო რგოლით, უკან ზომის მარეგულირებლით. კეპის წინა მხარეს ლოგო, უკანა მხარეს საქართველოს დროშა.

ბ) პანამა – წინა მახრეს ლოგო და უკანა მხარეს საქართველოს დროშა.

ქუდი:

შენიშვნა: ქუდის უკან საქართველოს ეროვნული დროშა;

ეროვნული სატყეო სააგენტო

გ) მაისური პოლოს ტიპის – სწორი სილუეტით, მოკლე მკლავით, მკლავი მთავრდება სპეციალური ნაქსოვი რეზინის მანჟეტით. მაისური იკვრება წინ 3 ღილით და 3 ღილკილოთი. საყელო ტრიკოტაჟის. მაისურის უკანა მხარეს წარწერა „ეროვნული სატყეო სააგენტო“. მკერდზე მარცხენა მხარეს უნდა ჰქონდეს ლოგო, მარჯვენა სახელოზე საქართველოს დროშა.

დ) მაისური მრგვალი ყელით – სწორი სილუეტით, მოკლე მკლავით. მკერდზე მარცხენა მხარეს უნდა ჰქონდეს ლოგო, უკანა მხარეს წარწერა „ეროვნული სატყეო სააგენტო“, მარჯვენა სახელოზე საქართველოს დროშა.

ე) **გრძელმკლავიანი პერანგი** – იკვრება წინ ღილებზე შესაბამისი ღილკილოთი. საყელო გადაფენილი დგარზე, მახვილი კუთხეებით. სახელო გრძელი ჩაკერებული, ბოლოში მანჟეტით, ასაკეცი, ყავისფერი თასმით და ღილით დამაგრებული, გულზე ორივე მხარეს სარქველიანი ჯიბით. მარჯვენა მხარეს ჯიბის თავზე დამაგრებულია ტექნიკური შესაკრავით (ფხრიწით)სახელი, გვარი ა.შ.... მარცხენა მხარეს ჯიბის თავზე ლოგო, მარჯვენა მკლავზე საქართველოს დროშა.

პერანგი:

ეროვნული სატყეო სააგენტო

3) საწვიმარი – საყელო დგარით საყელოში ჩადებულია კაპიუშონი, მოსაჭიმი თოკით, ბოლოში ფიქსატორებით. სახელო რეგლანი, უკანა მხარეს წარწერა „ეროვნული სატყეო სააგენტო“. გულზე მარცხენა მხარეს ლოგოთი და მარჯვენა მკლავზე საქართველოს დროშით.

ზ) ქურთუკი – სწორი სილუეტის, წელზე ქამრით და საქამრეებით, იკვრება ელვაშესაკრავით და თამასით, რომელიც იკვრება ტექნიკური შესაკრავით (ე.წ. ფხრიწით). ქურთუკი მუშავდება სარჩულით. სარჩულის მარცხენა კალთაზე დამუშავებულია ზედნადები ჯიბე. ჯიბე იკვრება ტექნიკური შესაკრავით (ე.წ. ფხრიწით). ქურთუკის ქვედა კალთებზე დაკერებულია ზედნადები სარქველიანი ჯიბეები, რომლებიც იკვრება ტექნიკური შესაკრავით (ე.წ. ფხრიწით) და ამავდროულად ჯიბეს აქვს გვერდითა ჯიბის ფუნქცია. ქურთუკის მარჯვენა მხარეს გულზე დამაგრებულია ტექნიკური შესაკრავით (ფხრიწით) სახელი, გვარი და ა.შ... მარცხენა მხარეს ლოგო, მარჯვენა მკლავზე საქართველოს დროშა, ქურთუკის უკანა მხარეს ზურგზე წარწერა „ეროვნული სატყეო სააგენტო“.

თ) შარვალი – უნდა იყოს სწორი სილუეტის; წინ უნდა იკვრებოდეს ელვა-შესაკრავით და ერთი ღილით ღილკილოზე; შარვლის სათავე დამუშავებულია შესაბამისი ზომისა და რაოდენობის საქამრეებით. შარვალს აქვს სამი ჯიბე: წინა კალთებზე უნდა იყოს დამუშავებული ორი გვერდითი გაჭრილი ჯიბე, ხოლო შარვლის მარჯვენა ტოტზე გვერდზე უნდა იყოს დამუშავებული ზედნადები, სარქველიანი ჯიბე, რომლებიც უნდა შეიკრას ტექნიკური შესაკრავით (ფხრიწით). ორივე ტოტზე უნდა ჰქონდეს სამუხლე ნაკერები. შარვლის ორივე მხარეს ჩაყოლებულია ყავისფერი თასმა.

ი) ქამარი და შალითა – ქამარი ორბორტიანი, 3 ერთეული შალითა, რომლებშიც მობილური ტელეფონი, GPS და საწვიმარი მოთავსდება.

შარვალი:

მრავალფეროვანი სატყეო სააგენტო

კ) მაღალყელიანი ფეხსაცმელი: შავი ფერის ტყავის და ნეილონის კომბინაციით შეკერილი თასმებზე შესაკრავი მაღალყელიანი ფეხსაცმელი.

2. ქალის სპეციალური ტანსაცმელის ნიმუში:

ქვედაბოლო და პიჯაკი – მუქი მარცხენა მხარის გულის ჯიბეზე ლოგო, და მწვანე ფერის ნაცრისფერი, რომლის გამოსახულია სააგენტოს ყელსახვევი.“.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 27 მარტის ბრძანება №112 - ვებგვერდი, 28.03.2014წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 ივნისის ბრძანება №124 - ვებგვერდი, 13.06.2014წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 8 ივლისის ბრძანება №127 - ვებგვერდი, 09.07.2014წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 ოქტომბრის ბრძანება №144 - ვებგვერდი, 31.10.2014წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება №24 - ვებგვერდი, 14.06.2017წ.

დანართი №2

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლის სამსახურებრივი პირადობის მოწმობის ნიმუში



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 27 მარტის ბრძანება №112 - ვებგვერდი, 28.03.2014წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 ივნისის ბრძანება №124 - ვებგვერდი, 13.06.2014წ.

დანართი №3

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს ლუქის ნიმუშები

1. . ლუქი №1 იძლევა სწრაფი დალუქვის საშუალებას (ნიმუში თან ერთვის).

ლუქი №1-ის ტექნიკური მახასიათებლებია:

ა) მასალა: პოლიპროპინელი ან პოლიეთილენი;

ბ) ზომები: საერთო სიგრძე – 346 მმ;

გ) სამუშაო სიგრძე – 260 მმ;

დ) ლენტის დიამეტრი – 2 მმ.

ე) მარკირება: შვიდნიშნა ან ცხრანიშნა ციფრით;

ვ) ფერები: ლურჯი, მწვანე, წითელი და ყვითელი.

2. დანომრილი თვითწებადი ლუქი №2-ის გახსნის შემთხვევაში მასზე ჩნდება ინდიკატორული წარწერა „OPENED“, რომელიც მეორადი დაწებებისას არ იკარგება. ლუქზე შესაძლებელია დაწებების თარიღის და ხელმოწერის აღნიშვნა ბურთულიანი კალმით (ნიმუში თან ერთვის). ლუქი №2-ის ტექნიკური მახასიათებლებია:

ა) მასალა: პოლიეთინელი;

ბ) ზომები: 20მმ X 60მმ ან 10მმ X 30მმ.

გ) მარკირება: ექვსნიშნა ციფრით.

3. ლუქ №3-ს აქვს ჩამკეტი და დაცვის რამდენიმე ხარისხი (ნიმუში თან ერთვის).

ლუქი №3-ის ტექნიკური მახასიათებლებია:

ა) მასალა: გამჭირვალე აკრილი.

ბ) მარკირება: შვიდნიშნა ციფრით, რომლის ბოლო სამი ციფრი დუბლირდება ჩამკეტ ნაწილზე.

გ) ფერები: ლურჯი, მწვანე, წითელი, ყვითელი, შავი, რუხი.

დ) ფერები: ლურჯი, მწვანე, წითელი, ყვითელი, შავი.

4. ლუქი №4 წარმოადგენს ჩამკეტ-დასალუქი მოწყობილობის მქონე მინიატურულ-ტროსიანი ლუქის სახეობას. მას აქვს ჩასახრახნი ელემენტი, რომლის მეშვეობითაც ხდება ლუქის ჩაკეტვა, რომლის შემდეგაც ეს ჩასახრახნი ელემენტი ტყდება. ლუქი №4-ის ტექნიკური მახასიათებლებია:

ა) მასალა: ლუქის კორპუსი – ალუმინის შენადნობი;

ბ) ტროსი – მოთუთიავებული ფოლადი;

გ) მარკირება: ექვსნიშნა ციფრით;

დ) ფერები: ლურჯი, მწვანე, წითელი, ყვითელი, შავი.